ჯგუფურ სამუშაოებში ინდივიდუალური წვლილის შეფასების გაუმჯობესება განათლების ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში

ჯგუფის წევრები: ცირა გადელია, ქეთევან პავლიაშვილი, ნინო კოკაია,

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ცირა გადელია

ნინო კოკაია

ქეთევან პავლიაშვილი

23.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში ჯგუფურ სამუშაოებში ინდივიდუალური წვლილის შეფასების გაუმჯობესების პრაქტიკის კვლევას. მოცემული პრაქტიკის კვლევის მიზანია გამოიკვლიოს აღნიშნულ პროგრამაზე ჯგუფურ სამუშაოებში ინდივიდუალური წვლილის შეფასების არსებული ინსტრუმენტები, შეაფასოს მათი ეფექტურობა და დანერგოს სტრატეგიები გაუმჯობესებისთვის. დიაგნოსტიკური კვლევის ეტაპზე გამოყენებულ იქნა დოკუმენტების ანალიზი, ჩაღრმავებული ინტერვიუები პროფესორ-მასწავლებლებთან და ფოკუს ჯგუფი აღნიშნული პროგრამის პირველი კურსის სტუდენტებთან. ხოლო ინტერვენციების შედეგების შეფასების ეტაპზე შემუშავდა კითხვარები სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის. დიაგნოსტიკური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ასევე კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპების, ბლუმის ტაქსონომიის, სოციალური ურთიერთდამოკიდებულების, როლების თეორიისა და განმავითარებელი შეფასების თეორიის ელემენტების გათვალისწინებით, შემუშავდა და დაინერგა ინტერვენციები: აკადემიური პერსონალის შეხვედრა და ამის საფუძველზე ჯგუფური სამუშაოების დაგეგმვა-შეფასების მიდგომის შემუშავება, ჯგუფების ზომის შემცირება, ჯგუფურ სამუშაოებში როლების ფუნქციურ-თემატური დანაწილება. აკადემიური პერსონალის შეხვედრის საფუძველზე მომზადდა ინსტრუქცია ჯგუფურ დავალებებში ინდივიდუალური წვლილის შეფასების გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შემდგომში დაინერგება პროგრამაში. ჯგუფების ზომების შემცირებასთან დაკავშირებით საერთო ჯამში დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა, გაუმჯობესდა ჯგუფის წევრებს შორის თანამშრომლობა, სამუშაო მეტად თანაბრად გადანაწილდა და გაიზარდა სტუდენტთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დონეც, რამაც თავის მხრივ შეამცირა “Free riding”-ის შემთხვევები. ანალოგიურად, სტუდენტების მხრიდან დადებითი შეფასება მოყვა როლების ფუნქციურ-თემატურ დანაწილებასაც.

აღნიშნული მიდგომა ლექტორისთვისაც ოპტიმალური გამოდგა დროის ოპტიმიზაციის, სამუშაოს თანაბრად და სამართლიანად გადანაწილებისა, და ინდივიდუალურად თითოეული სტუდენტის მიერ კურსის სწავლის მიზნებზე გასვლის უკეთესად შეფასების კუთხით. აღნიშნული ინტერვენციებით შესაძლებელი ხდება პროგრამის ფარგლებში ჯგუფურ სამუშაოებში ინდივიდუალური წვლილის შეფასებასთან დაკავშირებული გამოწვევების შემცირება. ინტერვენციები სამომავლოდ დაეხმარება როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს გაიუმჯობესონ ჯგუფურ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება.

Abstract

The present work is action research on improving the assessment of individual contribution in group work within the education administration program of Ilia State University. The purpose of this action research is to examine existing tools for assessing individual contributions to group work on the program, to evaluate their effectiveness, and to implement strategies for improvement. At the diagnostic research stage, document analysis, in-depth interviews with professors and a focus group with first-year students of the mentioned program were used. And at the stage of evaluating the results of the interventions, questionnaires were developed for students and professors. Based on the results of the diagnostic research, as well as taking into account the basic principles of constructivism, Bloom's taxonomy, social interdependence, role theory and the theory of formative assessment, interventions were developed and implemented: a meeting of academic staff and based on this, the development of an approach to planning and evaluating group work, reducing the size of groups, in group work Functional-thematic division of roles. Based on the academic staff meeting, an instruction was prepared to improve the evaluation of individual contributions in group assignments, which will be introduced into the program later. In relation to the reduction of the size of the groups, an overall positive trend was revealed, the cooperation among the group members improved, the work was distributed more evenly and the level of individual responsibility of the students increased, which in turn reduced the cases of "free riding". Similarly, the functional-thematic division of roles was also positively evaluated by the students. The mentioned approach was also optimal for the lecturer in terms of time optimization, equal and fair distribution of work, and better evaluation of each student's achievement of the learning goals of the course. With the mentioned interventions, it becomes possible to reduce the challenges related to the assessment of individual contribution in group work within the program. In the future, the interventions will help both students and teachers to improve their experience of working on group projects.